საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-871

30/10/2018

ქ. თბილისი

„ქ.თბილისში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნაპირდამცავი ბეტონის კონსტრუქციის კედლის მოწყობაზე“ სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს “ნაპირდაცვის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია „ქ.თბილისში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნაპირდამცავი ბეტონის კონსტრუქციის კედლის მოწყობის“ სკრინინგის განცხადება.

პროექტის მომზადების საფუძველია შპს „ას ჯორჯიას“ და შპს „ნაპირდაცვას“ შორის დადებული ხელშეკრულება. პროექტის განმახორციელებელია შპს. „ას ჯორჯია“.

სამშენებლო ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისის სამხრეთ ნაწილში, ისნის რაიონში და მიზნად ისახავს მდინარე მტკვრის განაშენიანებული მარცხენა ტერასის დაცვას გამორეცხვა-ჩამოქცევებისგან. წყალდიდობის დროს მარცხენა ნაპირი განიცდის ინტენსიურ გვერდით ეროზიას. პროექტი ითვალისწინებს დაზიანებული უბნის დაცვის მიზნით რკინა-ბეტონით აგებული საყრდენი კედლის მშენებლობას. სამშენებლო ობიექტიდან მოსახლეობა დაშორებულია 117 მეტრით დასავლეთის მხარეს, ხოლო 243 მეტრით ჩრდილოეთის მხარეს.

საკვლევი უბანი მდ. მტკვრის მარცხენა ჭალის ტერასა შევსებულია ტექნოგენური გრუნტებით. წყალმოვარდნის პერიოდში წყლის ნაკადი რეცხავს მარცხენა ნაპირს, მიმდინარეობს გრუნტის ჩამოშლა. ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიანი ინტენსიობის ზონას.

ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობა გათვალისწინებულია მდინარის კალაპოტის მარცხენა კიდეში. დაგეგმილია რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა კონტრფორსებით,

საერთო სიგრძე 525მ. კედელი დაყოფილი იქნება 35 სექციად, თითოეულის სიგრძე 15მ. გათვალისწინებულია 6 აივნიანი ტიპის და 29 უაივნო ტიპის სექცია.

პროექტის მიხედვით, კედელი დაეყრდნობა ძირითად ქანს. კედლის საძირკველი უნდა აშენდეს ქვიშაქვებში და არგელიტებში ყალიბის გარეშე, ბეტონის მოსამზადებელ ფენაზე. კედლის სექციების უკან გათვალისწინებულია განივი დრენაჟის მოწყობა (სადრენაჟო მილი D=15სმ.). მილების ქვედა ორ რიგზე გათვალისწინებულია უკუსარქველების მოწყობა. კედლების სექციებს შორის 3 სმ.იანი სადეფორმაციო ნაკერები მოეწყობა. ფასადის მხრიდან სადეფორმაციო ნაკერის შელესვა მოხდება ცემენტის ხსნარით. კედლის წინ გათვალისწინებულია ქვაყრილის მოწყობა, ხოლო კედლის უკანა მხარეს უკუყრილი, რისთვისაც გამოყენებული იქნება კარიერიდან მოტანილი კენჭნარ-ხრეშოვან-ქვიშნარი გრუნტი.

კონტრაქტის ფარგლებში, ბულვარში დაგეგმილია აივნების მოწყობა. ასევე, პარაპეტის მოპირკეთება ბაზალტის ფილებით, არსებული ბულვარის მსგავსად. პარაპეტის ამაღლების მოსაწყობად საყრდენ კედელში გათვალისწინებულია არმატურის შვერილები. გარდა ამისა, ბულვარის გასწვრივ, ბიჯით 35 მ. წვიმის მიმღები სადრენაჟო ჭების მოწყობა.

ნაპირსამაგრი სამუშაოები უნდა ჩატარდეს წყალმცირობის პერიოდში, მდინარის კალაპოტში დროებითი ბერმის მოწყობით. სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია 8 თვე. (პროცესის განმავლობაში რამდენიმე ფენად ისხმება ბეტონის ფენა, თითოეული ფენის გასაშრობად გათვალისწინებულია დაახლოებით 30 დღე.)

მშენებლობაზე გამოყენებული იქნება ბეტონმრევი, ბულდოზერი- გრუნტის ადგილზე მოსასწორებლად,თვითმცლელი ავტომობილები სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისათვის და ექსკავატორი თხრილისა და უკუყრილის მოსაწყობად. სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია კალაპოტის უკიდურეს მარცხენა კიდეში. გათვალისწინებულია სამშენებლო უბნის მდინარის წყლისგან იზოლირება. ბეტონის ჩასხმა მოხდება ნაპირიდან და ამ ოპერაციას არ ექნება შეეხება წყალთან. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდეგ მშენებელი ვალდებულია გაიტანოს წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები. მშენებელი ორგანიზაცია ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს უსაფრთხოების, შრომის დაცვისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვით.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში არ იგეგმება სამშენებლო ბანაკის მოწყობა.

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან აღსანიშნავია სამშენებლო ტექნიკის ხმაური. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ტექნიკა დაუბრუნდება დისლოკაციის ადგილს, შესაბამისად ზეგავლენა იქნება დროებითი ხასიათის. ნაპირსამაგრი სამუშაოების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერზე ზეგავლენა მოსალოდნელია მხოლოდ ტექნიკის ძრავების მუშაობით გამოწვეული გამონაბოლქვით. ტერიტორიაზე არ ხდება მრავალწლოვანი ხე-მცენარეების მოჭრა, არც წითელ წიგნში შეტანილი მცენარეების ნუსხისა. სამუშაოების ჩატარების პერიოდში რაიმე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სამშენებლო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის შესაბამის სამსახურს. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში რაიმე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

შპს. „ნაპირდაცვის“ მიერ ნაპირსამაგრი სამუშაოები გავლენას არ მოახდენს დაცულ ტერიტორიებზე და ჭარბტენიან ტერიტორიებზე. სამშენებლო სამუშაოების პერიოდში არ მოხდება ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე.

საქმიანობის მცირე მასშტაბიდან გამომდინარე არ მოხდება გარემოს მნიშვნელოვანი დაბინძურება. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიება არის ნაპირდამცავი ფუნქციის მატარებელი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დადგინდა რომ, „ქ.თბილისში მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნაპირდამცავი ბეტონის კონსტრუქციის კედლის მოწყობის“ სამუშაოები არ მოახდენს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის ამავე კოდექსის II დანართის 9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ „ ქ.თბილისში მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნაპირდამცავი ბეტონის კონსტრუქციის კედლის მოწყობის“ პროექტი არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს” ნაპირდაცვა“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის’’ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნაპირდაცვას“ ;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს“ნაპირდაცვის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ისნის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი